სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	**ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და სარედაქციო-საგამომცემლო საქმე** Literary Studies, Textology and Publishing
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	ლიტერატურათმცოდნეობა Master of Literary Studies (მოდულისთვის თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა); ფილოლოგიის მაგისტრი / Master of Philology (მოდულისთვის ტექსტოლოგია და სარედაქციო-საგამომცემლო საქმე).
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს 2 მოდულს: 1. თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა; 2. ტექსტოლოგია და სარედაქციო-საგამომცემლო საქმე. კრედიტების რაოდენობა - 120 კრედიტი. პროგრამის სავალდებულო კურსები - 30 კრედიტი; სასპეციალიზაციო მოდულების კურსები - 30 კრედიტი; არჩევითი კურსები - 30 კრედიტი; სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი.
სწავლების ენა	ქართული ენა
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	პროგრამის ხელმძღვანელი: პროფ. ირმა რატიანი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	➢ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სწავლის ფართო სფეროებში: 1. ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები; 2. სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია; 3. განათლება;

	ან ბაკალავრი, რომელსაც გავლილი აქვს დამატებითი (minor) პროგრამა ქართულ ფილოლოგიაში; ➢ ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება; ➢ უცხოური ენის (ინგლისური/ გერმანული/ფრანგული) B1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით); ➢ სასპეციალიზაციო წერითი გამოცდა ლიტერატურის თეორიაში. უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	სამაგისტრო პროგრამას „ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და სარედაქციო-საგამომცემლო საქმე“ ახორციელებს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. პროგრამა თავისი არსითა და დანიშნულებით მულტიმეთოდოლოგიურია და ორიენტირებულია საქართველოს დასაქმების ბაზარზე. *პროგრამის მიზანია მოამზადოს მაგისტრები როგორც თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევების ძირითადი თეორიული მიმართულებების – ინტერკულტურული და კულტურათაშორისი კვლევების, ისე სპეციფიკური ფილოლოგიური საქმიანობის – ტექსტოლოგიური კვლევებისა და სარედაქციო-საგამომცემლო მუშაობის მიმართულებით, აღჭურვოს ისინი საჭირო ღრმა და ფუნდამენტური თეორიული და პრაქტიკული ცოდნით დარგში, რათა შეძლონ წარმატებული პროფესიული დასაქმება ან სწავლის გაგრძელება სადოქტორო საფეხურზე.* *პროგრამა ეფუძნება სასწავლო კურსების სწორ თანამიმდევრობასა*

	და ლოგიკურ ურთიერთკავშირს, რომელზეც აგებულია მათი სემესტრული განაწილების პრინციპი. ორივე მოდულისათვის საერთო სავალდებულო სასწავლო კურსები გამიზნულია როგორც ერთი, ისე მეორე ქვემიმართულების მაგისტრანტებისათვის და მიზნად ისახავს იმ აუცილებელი ზოგადი პროფესიული ცოდნის მიცემას, რაც ესაჭიროება თანამედროვე ტიპის ლიტერატურათმცოდნე-ფილოლოგს, დაინტერესებულს როგორც თეორიული ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევებით, ისე – პრაქტიკული ფილოლოგიური მუშაობით. მეორეს მხრივ, სასწავლო კურსები, რომლებიც განკუთვნილია ცალკეული მოდულებისათვის, ქმნის სპეციფიკურ დარგობრივ ბლოკებს და შეესაბამება იმ აუცილებელ სტანდარტს, რომელიც მოეთხოვება შესაბამისი ქვემიმართულების სპეციალისტს. არჩევითი საგნები, თავის მხრივ, დალაგებულია საერთო-ფილოლოგიური ცოდნისა და დარგობრივი ცოდნის შემდგომი გაღრმავების პრინციპით. სამაგისტრო პროგრამის „ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და სარედაქციო-საგამომცემლო საქმე“ **საერთო მიზნებია:** აკადემიური სფეროსა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, კურსდამთავრებულების აღჭურვა საერთაშორისო კომპეტენციებზე დაფუძნებული დარგის სისტემური ცოდნითა და უნარებით, რათა მათ შეძლონ: 1. თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიისა და/ან საგამომცემლო საქმის მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური და პრაქტიკული საქმიანობა დარგის კონცეპტუალური ცოდნით, ლიტერატურის, როგორც კულტურათაშორისი კომუნიკაციის ფორმის, მასშტაბურად გააზრებითა და მხატვრული ტექსტის სხვადასხვა თანამედროვე კრიტიკული მეთოდით (ინტერპრეტაციული, კომპარატივისტული, ტიპოლოგიური, ჰოლისტიკური და სხვ.) ანალიზის მეშვეობით; 2. თანამედროვე თეორიული მეთოდოლოგიების (ნარატოლოგია, პოსტსტრუქტურალიზმი, პოსტმოდერნისტული აზროვნება, სემიოტიკა, ფსიქოანალიზი, რეცეფციული ესთეტიკა და სხვ.) თეორიული ასპექტებისა და თანამედროვე ევროპული თეორიული ტენდენციების ქართულ

	ლიტერატურათმცოდნეობით ტრადიციებთან მიმართება და ქართული ლიტერატურათმცოდნეობითი სკოლის მიღწევების მსოფლიო ლიტერატურათმცოდნეობითი დიალოგის კონტექსტში ჩართვა; 3. თეორიული, ზოგადი და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიისა და/ან სარედაქციო-საგამომცემლო საქმის მიმართულებით ინტერდისციპლინარულ კვლევებში ჩართვა, ინდივიდუალური კვლევითი ინტერესის დასავლურ თეორიულ თუ პრაქტიკულ მოთხოვნებთან ადეკვატური სინთეზი, დარგის აქტუალური თეორიებით ოპერირება და მიმდინარე ლიტერატურული პროცესების კვლევა; 4. ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიისა და სარედაქციო-საგამომცემლო საქმის კვლევების განხორციელებისას, მულტიპერსპექტიული მიდგომების საშუალებით, კრიტიკული აზრის დამკვიდრებაში მონაწილეობის მიღება და სარედაქციო-საგამომცემლო საქმიანობის, როგორც ჰუმანიტარული აზროვნების აუცილებელი წარმოებისას, ტექსტის გამოსაცემად მომზადება-რედაქტირების ინოვაციური მეთოდების განხორციელებაში წვლილის შეტანა; 5. დარგის უახლესი ცოდნით და მაღალი პასუხისმგებლობით აკადემიურ სფეროში საკუთარი წვლილის შეტანა; აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით, კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემით, ფილოლოგიური და ლიტერატურათმცოდნეობითი ცოდნის გაცვლა-გავრცელება აკადემიურ და საზოგადოების ფართო წრეებში. გარდა ზემოაღნიშნული საერთო მიზნებისა, პროგრამა მიზნად ისახავს, მეორე მოდულით – **ტექსტოლოგიისა და სარედაქციო-საგამომცემლო საქმით** – მომზადებულმა კურსდამთავრებულებმა შეძლონ: 1. ტექსტოლოგიური კვლევის თეორიების, ტექნოლოგიებისა და სარედაქციო საქმის სტრატეგიებისა და მენეჯმენტის ფუნდამენტური ცოდნის საფუძველზე ტექსტის რედაქტირების, კორექტირებისა და სტილისტური დამუშავების თეორიული და პრაქტიკული მეთოდების გამოყენება პროფესიული

	საქმიანობისას, 2. აკადემიური წერის სხვადასხვა სტილის საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება ტექსტის რედაქტირებისა და აკადემიური გამოცემის სტრუქტურირებისას; 3. ტექსტის განსხვავებული რედაქციებისა და ვარიანტების შედარებით, მათი სისტემატიზირებით, შეჯერებული რედაქციის დადგენა და აკადემიური მოთხოვნების შესაბამისად გამოსაცემად მომზადება. *პროგრამის განხორციელებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კვლევით კომპონენტს (სამაგისტრო ნაშრომს), რაც საშუალებას აძლევს მაგისტრანტებს, ერთად მოუყარონ თავი თავიანთ თეორიულ და დარგობრივ ინტერესებს, რათა დასახონ კვლევისა და პრაქტიკული პროფესიული საქმიანობის კონკრეტული მიზანი.* პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტებს, შეძლონ მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში; შემდგომში, შრომით ბაზარზე წარმატებით დასაქმება ან / და სწავლის გაგრძელება სწავლების მესამე საფეხურზე საქართველოს უნივერსიტეტების სადოქტორო პროგრამებზე ლიტერატურის თეორიის, შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის, ლექსთმცოდნეობის, ტექსტოლოგიის, ქართული ლიტერატურის მიმართულებით, ან დასავლური უნივერსიტეტების თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულების შესაბამის სადოქტორო პროგრამებზე (ზაარლანდის უნივერსიტეტი, ათენის უნივერსიტეტი, ბარსელონას უნივერსიტეტი, ბერგამოს უნივერსიტეტი, პენსელვანიის უნივერსიტეტი, სორბონას უნივერსიტეტი).
სწავლის შედეგები	სამაგისტრო პროგრამით „ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და სარედაქციო საქმე“ მომზადებული მაგისტრი ერუდირებული სპეციალისტია, მიღებული აქვს დარგის შესაბამისი ღრმა და სისტემური განათლება, ფუნდამენტური სამეცნიერო ცოდნის საფუძვლები ლიტერატურათმცოდნეობით და ტექსტოლოგიურ-საგამომცემლო საქმის დისციპლინებში; დარგს ფლობს კონცეპტუალურ დონეზე. ასევე, მას შეუძლია დარგობრივ მონაცემთა დამოუკიდებელი ინტერპრეტირება და საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში დარგის მომიჯნავე სფეროებში გარკვევა; შესწევს დამოუკიდებლად როგორც

	სამეცნიერო-თეორიული, ისე პრაქტიკული მუშაობის უნარი. ასევე შეძენილი აქვს ისეთი უნარ-ჩვევები, რომელიც აუცილებელია განათლების შემდგომ საფეხურზე (დოქტურანტურაში) სწავლის გაგრძელებისთვის.
ა) ცოდნა და გაცნობიერება	სამაგისტრო პროგრამით „ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და სარედაქციო საქმე“ მომზადებული მაგისტრი 1. დარგობრივი სფეროს – თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიის – უახლეს თეორიულ კვლევებსა და მიდგომებზე დაფუძნებული ღრმა და სისტემური ცოდნის, თანამედროვე ინტელექტუალური მიმდინარეობების (მოდერნიზმიდან პოსტმოდერნიზმამდე და შემდეგ), ფორმირებების თავისებურებათა გაცნობიერების საფუძველზე **ადარებს მხატვრულ ტექსტებს და ახდენს მათ ინტერპრეტაციას** სხვადასხვა თანამედროვე კრიტიკული მეთოდის – ინტერპრეტაციული, კომპარატივისტული, ტიპოლოგიური, ჰოლისტიკური და სხვ. – მეშვეობით; **მიმოიხილავს კრიტიკული თეორიის არსს**, რომელიც განსაკუთრებით კარგადაა ასახული ინტერპრეტაციისა და კომპარატივისტიკის (შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის) კრიტიკული აზროვნების მეთოდებში; 2. **განსაზღვრავს** ნარატოლოგიის, პოსტსტრუქტურალიზმის, პოსტმოდერნისტული აზროვნების, სემიოტიკის, ფსიქოანალიზის, რეცეფციული ესთეტიკისა და სხვ. ძირეულ თეორიულ ასპექტებს, **აანალიზებს** მათი ჩამოყალიბებისა და ტრანსფორმაციის ფილოსოფიურ, ესთეტიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ დისკურსებს; 3. **ხსნის და აღწერს** ქართული ლიტერატურის განვითარების ძირითად ტენდენციებსა და ჟანრობრივ მახასიათებლებს; მასში მიმდინარე პროცესების რიგ მეთოდოლოგიურ თავისებურებებს მსოფლიოში მიმდინარე ლიტერატურულ-კულტურული პროცესების გათვალისწინებით. **I მოდული:** • **სიღრმისეულად მიმოიხილავს** განსხვავებულ

	ესთეტიკურ სისტემებს, სხვადასხვა ეპოქისთვის ნიშანდობლივ კონცეპტუალურ მოდელებს, ლიტერატურულ სააზროვნო სივრცეს, სკოლებს, მიმდინარეობებს, ჟანრულ სისტემასა და თეორიულ შეხედულებებს; • **განიხილავს** დროისა და სივრცის, ქრონოტოპის თეორიებს პლატონისა და არისტოტელეს ეპოქიდან ბერგსონის ეპოქებამდე, მათ ფილოსოფიურ, სამეცნიერო და ლიტერატურულ მოდიფიკაციებს; **იაზრებს/გამოკვეთს** პრობლემას ინტერდისციპლინურ კონტექსტში სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით; II მოდული: • **განსაზღვრავს** საგამომცემლო საქმის თეორიულ ასპექტებს, სარედაქციო პროცესს და მის სისტემას, კონცეფციებს, პრინციპებსა და მიმართულებებს, **მიმოიხილავს** ბეჭდვითი საქმის განვითარების არსებით მომენტებს, საგამომცემლო პროცესის ტექნოლოგიას, წიგნის დიზაინის საფუძვლებს, რედაქტირების სხვადასხვა ფორმებსა და სახეებს; • ტექსტოლოგიური კვლევის თეორიების, ტექნოლოგიებისა და სარედაქციო საქმის სტრატეგიებისა და მენეჯმენტის ფუნდამენტური ცოდნის საფუძველზე **განიხილავს და ადარებს** განსხვავებულ რედაქციებს და ახდენს გამოცემების სისტემატიზირებას;
ბ) უნარები	სამაგისტრო პროგრამით მომზადებული მაგისტრი 1. **იყენებს** დარგის უახლეს **მეთოდებსა და თეორიებს, აანალიზებს** ტიპოლოგიურად მსგავს მოტივებს საერთაშორისო კონტექსტში, გამოკვეთს განსხვავებულ ნარატივებს და ადგენს მათ თავისებურებებს. **ოპერირებს** ადეკვატური **ტერმინოლოგიური აპარატით** ლიტერატურული ტექსტების კვლევისას და კვლევის შედეგების პრეზენტაციისას. 2. **კრიტიკულად ამუშავებს** დარგობრივ **სამეცნიერო ლიტერატურას** და **ადგენს** სამეცნიერო ხასიათის **აკადემიურ ტექსტებს**; **იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს**, როგორც საკომუნიკაციო და სამუშაო

	ინსტრუმენტს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან წარმატებული კომუნიკაციისთვის. I მოდული: • **კრიტიკულად და არგუმენტირებულად აანალიზებს** ქართველი და უცხოელი ლიტერატურათმცოდნე თეორეტიკოსების **შეხედულებებსა და სამეცნიერო ნაშრომებს**; **გამოყოფს** კონცეპტუალურ დარგობრივ **პრიორიტეტებს**, **აყალიბებს** ქართული ლიტერატურული ტენდენციების **პრობლემურ საკითხებს** და **გამოყოფს** საკვლევი **პრობლემის გადაჭრის** თანამედროვე და ინოვაციურ **მიდგომებს**. • **აანალიზებს და აფასებს** ლიტერატურათმცოდნეობის ცალკეულ პრობლემებს მსოფლიო ლიტერატურული პროცესების ჭრილში, ინტერდისციპლინურ კონტექსტში დარგის მომიჯნავე დისციპლინებთან მიმართებით (ფილოსოფია, ესთეტიკა, კულტურა, ანთროპოლოგია, ფოლკლორი) სხვადასხვა მეთოდის – ინტერპრეტაციული, კომპარატივისტული, ტიპოლოგიური, ჰოლისტიკური და სხვ. – გამოყენებით; II მოდული: • **ადგენს** ტექსტის რედაქტირების, კორექტირებისა და სტილისტური დამუშავების **სტრატეგიებს**; **აწესრიგებს ტექსტს** გამოსაცემად – **არედაქტირებს, აკორექტირებს და სტილისტურად ამუშავებს**; **აფასებს** საგამომცემლო საქმიანობას, როგორც ჰუმანიტარული აზროვნების აუცილებელი პრაქტიკული პროდუქტის, მუშაობის სპეციფიკას. • საგამომცემლო საქმის სფეროში მსოფლიოს წამყვანი ბრენდების გამოცდილების გათვალისწინებით მაგისტრი **შეისწავლის და აანალიზებს** თანამედროვე ქართული წიგნის ბაზრის სამოქმედო პრინციპებსა და მოთხოვნილებებს, საგამომცემლო ოპერაციებს; საავტორო უფლებებს, რეკლამასა და საგამომცემლო საქმის მარკეტინგსა და მენეჯმენტს.
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	1. პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხით **გეგმავს** და **მართავს**

	სამუშაო დროს, **შეიმუშავებს სტრატეგიულ მიდგომებს** პროფესიული ცოდნის გასაახლებლად, შემდგომი სწავლის პროცესისა და კვლევების დამოუკიდებლად წარსამართად. 2. ამჟღავნებს დარგისათვის სპეციფიკური ეთიკური პრობლემების ცოდნას და გამოხატავს ეთიკურ პოზიციას – **ავლენს** უცხოს მიმართ **შემწყნარებლობას**, **ტოლერანტულია განსხვავებული აზრის მიმართ**, ემიჯნება ფანატიკურ და ფუნდამენტალისტურ შეხედულებებს. 3. პროფესიული საქმიანობისას **იცავს აკადემიური ეთიკის ნორმებს** და აკადემიურ კეთილსინდისიერებას.
სწავლება-სწავლის მეთოდები	სწავლების პროცესში დავეყრდნობით სალექციო და სამუშაო ჯგუფების, შუალედური და ფინალური წერითი გამოცდების, პრეზენტაციების ფორმებს. გამოყენებული იქნება ვერბალური გადაცემის, გონებრივი იერიშის, წიგნზე მუშაობის, ანალიზის, სინთეზის, ახსნა-განმარტებისა და ჯგუფური მუშაობის მეთოდები. გამოყენებული იქნება დარგობრივი ლიტერატურათმცოდნეობითი მეთოდები – აღწერითი, შედარებითი, შეპირისპირებითი მეთოდები.
შეფასების სისტემა[1]	**შეფასების მოქმედი სისტემა გულისხმობს:** **ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას –** (A) ფრიადი – 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა; (C) კარგი – 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა; (E) საკმარისი – 51-60 ქულა. **ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას –** (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა (აღნიშნული შეფასება სტუდენტს დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლებას აძლევს; 41-50 ქულა, თავის მხრივ, მოწმობს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება, რაც მან დამოუკიდებლად, ლექტორის დაუხმარებლად უნდა შეძლოს). (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები (აღნიშნული შეფასება მოწმობს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი

[1] პროგრამის საფეხური, პროგრამის სწავლის შედეგები, შინაარსი, სწავლა-სწავლების მეთოდები და შეფასების სისტემა ბმაში უნდა იყოს ერთმანეთთან და უზრუნველყოფდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას

	და მას საგანის გავლა ხელმეორედ მოუწევს). **FX-ის მიღების შემთხვევაში** დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არაუადრეს 5 დღისა. დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით გამოცდაზე მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული ქულათა რაოდენობა (და არა დასკვნითი გამოცდის ქულები) ემატება გამოცდამდე დაგროვილ ქულათა რაოდენობას და ორივე ერთად ქმნის კურსის საბოლოო შეფასებას. დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა: სტუდენტს სემესტრის განმავლობაში დაგროვილი უნდა ჰქონდეს არანაკლებ **21** ქულისა. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების ნახევარს. თუ კურსის საბოლოო შეფასება 50-ს არ აღემატება (0-50 ქულაა), ფორმდება F– 0 ქულა. შესაბამისად, სასწავლო კურსის საბოლოო მინიმალური დადებითი შეფასება 51 ქულაა. კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) ფასდება საჯარო დაცვაზე, სადაც მაგისტრანტი დაიშვება ნაშრომის წინასწარი დაცვის წარმატებით გავლის, სამეცნიერო ხელმძღვანელის სათანადო დასკვნისა და სამაგისტრო ნაშრომის Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით გატარების შემდეგ. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების მნიშვნელოვანი ნაწილია დარგის სპეციალისტის რეცენზია (მაქს. 60 ქულიდან მინიმუმ 31 ქულის მიღების გარეშე საჯარო დაცვაზე მაგისტრანტი პრეზენტაციით ვერ წარსდგება) და მაგისტრანტის მიერ კვლევის შედეგების ზეპირი პრეზენტაცია დაცვის კომისიის წინაშე (მაქს. 40 ქულიდან მინიმუმ 20 ქულის მიღება აუცილებელია). სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასება წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიის შეფასების ჯამს. სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება, თუ მის მიერ მიღებული საბოლოო შეფასება 51 ან მეტი ქულის ტოლია.

	სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.
დასაქმების სფეროები	აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს, როგორც მკვლევარსა და ლექტორს, მუშაობა შეეძლება: • საჯარო სკოლაში (პედაგოგთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ), უმაღლეს სასწავლებლებში - შესაბამისი მიმართულების შესაბამის აკადემიურ თანამდებობაზე; • ჰუმანიტარული პროფილის კვლევით ინსტიტუტებში; • საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ნებისმიერ სხვა ბიბლიოთეკაში; • მუზეუმებში; • საგამომცემლო ორგანიზაციებში, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში; • რადიოსა და ტელევიზიაში რედაქტორად და კონსულტანტად; • საქართველოს ცენტრალურ არქივსა და სხვა არქივებში; • საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ სასულიერო აკადემიასა თუ სემინარიაში; • არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში ლიტერატურულ და საგამომცემლო ექსპერტად.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხოელი სტუდენტებისთვის შეადგენს 2250 ლარს. უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისთვის უმაღლესი განათლების მეორე და მესამე საფეხურებზე სწავლის წლიურ საფასურს ადგენს უნივერსიტეტი, ფაკულტეტი ან პროგრამა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, საქართველოს ხელისუფლების მიერ დადებული და რატიფიცირებული შეთანხმებების მიხედვით.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი ირმა რატიანი ინფორმაცია პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალის შესახებ: **ირმა რატიანი** - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თეორიული და შედარებითი

	ლიტერატურათმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პროფესორი; შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი; **გაგა ლომიძე** - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი; თსუ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ლიტერატურის თეორიისა და კომპარატივისტიკის განყოფილების გამგე; **სოლომონ ტაბუცაძე** - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი; თსუ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; **ანა ლეთოდიანი** - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასისტენტ პროფესორი; თსუ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; **მაკა ელბაქიძე** - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი; თსუ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, საგამომცემლო საქმის კოორდინატორი. **ნანა ფრუიძე** - თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი (მოწვეული ლექტორი); **თამარ ბარბაქაძე** - შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ლიტერატურის თეორიისა და კომპარატივისტიკის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი (მოწვეული ლექტორი); **თინათინ ბოლქვაძე** - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თეორიული და შედარებითი

	ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი; **კახაბერ ლორია** - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პროფესორი; **ელენე გოგიაშვილი** - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი; **ანა ხარანაული** - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი; **ირაკლი ხვედელიძე** - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის მოწვეული ლექტორი; **ლელა წიფურია** - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვიზუალური ხელოვნების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის კინო-ტელე მიმართულების ასისტენტ პროფესორი; **ნანა გაფრინდაშვილი** - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პროფესორი; **ელისო რეხვიაშვილი** - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის მოწვეული ლექტორი **მატერიალური რესურსი:** მატერიალურ ტექნიკურ ბაზად გამოყენებული იქნება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი მათი

	მატერიალური და ტექნიკური რესურსებით (სამუშაო ოთახები, კომპიუტერული ტექნიკა, დარგობრივი ბიბლიოთეკა და სხვ.), სამეცნიერო ბიბლიოთეკებით, ლიტერატურული არქივებით, კომპიუტერული ცენტრებით; პროგრამის სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს როგორც საფაკულტეტო, ისე საუნივერსიტეტო სამეცნიერო ბიბლიოთეკებით და კომპიუტერული რესურსცენტერებით, რომლებიც უზრუნველყოფენ თავისუფალ წვდომას ციფრულ რესურსებსა და სამეცნიერო ლიტერატურის ელექტრონულ ბაზებზე. პროგრამის მხარდამჭერია „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, აგრეთვე, პროგრამასთან სახელშეკრულებო ურთიერთობით დაკავშირებული საგამომცემლო სახლები და სტამბები.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და სარედაქციო საქმის“ სამაგისტრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სამეცნიერო და საგანმანთლებლო ღონისძიებების ჩატარებას.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	სამაგისტრო პროგრამას ემსახურება დარგის მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი, არსებობს მჭიდრო თანამშრომლობა მთელ რიგ საერთაშორისო კვლევით ცენტრებთან, რაც უზრუნველყოფს სწავლების მაღალ სტანდარტს. პროგრამის სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ სამეცნიერო კონფერენციებსა და საგრანტო პროექტებში; სტუდენტთა ნაწილი დაფინანსებულია რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით, ისინი ჩართულნი არიან აგრეთვე პროგრამის პროფესურის სამეცნიერო-კვლევით გრანტებში საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.